საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1098 2019 წლის 15 მაისი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ორბი ჯგუფი ბახმაროსათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ამ განკარგულების დანართით განსაზღვრული უძრავი ქონება პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაეცეს შპს „ორბი ჯგუფი ბახმაროს“ (ს/კ: 445548042).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში;

ბ) პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 60 (სამოცი) თვის ვადაში, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე ან მის ნაწილზე მრავალფუნქციური კომპლექსის (რომელიც მოიცავს (მაგრამ შესაძლოა, არ შემოიფარგლებოდეს) არანაკლებ 120 ნომრის მქონე სასტუმრო(ებ)ს,

კომერციული დანიშნულების ფართ(ებ)ს; კვების ობიექტ(ებ)ს; სპორტულ მოედანს/მოედნებს, ქონების ან მისი ნაწილის შემოღობვას, გამწვანებას, გარე განათებას) შექმნის მიზნით, სამშენებლო/სარეკონსტრუქციო/ სარემონტო სამუშაოების (რაც ასევე შეიძლება მოიცავდეს უძრავი ქონების ნაწილის შესაბამისი კომპეტენტური ორგანო(ები)ს თანხმობით განხორციელებულ დემონტაჟს) განხორციელება, კანონმდებლობით დადგენილი წესით კომპლექსის ექსპლუატაციაში მიღება და სასტუმრო(ები)სა და კვების ობიექტ(ებ)ის ფუნქციონირების დაწყება. ამასთან, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) წლის განმავლობაში, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა არ უნდა განხორციელდეს;

გ) პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების მიზნით, არანაკლებ 50 000 000 (ორმოცდაათი მილიონი) ლარის (დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინების გარეშე) ოდენობის ინვესტიციის განხორციელება.

3. შპს „ორბი ჯგუფი ბახმარომ“ ამ განკარგულების მე-2 პუნქტით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების (მათ შორის, მათი შეუსრულებლობისათვის შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის) უზრუნველსაყოფად, ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე წარადგინოს ამავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საინვესტიციო თანხის 5%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის ვადაც არანაკლებ 4 (ოთხი) თვით უნდა აღემატებოდეს ამავე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას.

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – სახელმწიფო ქონების

ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**

განკარგულების დანართი

N	ობიექტი	საკადასტრო კოდი
1	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, კურორტ ბახმაროში, გურიის ქუჩაზე მდებარე 9626.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1 (196.89 კვ.მ.); №2 (193.87 კვ.მ.); №3 (126.8 კვ.მ.) და №4 (95.9 კვ.მ.) შენობა-ნაგებობები	28.24.26.038
2	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, კურორტ ბახმაროში, გურიის ქუჩაზე მდებარე 6883.00.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1 (46.3 კვ.მ.)	28.24.26.039
3	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, კურორტ ბახმაროში, გურიის ქუჩაზე მდებარე 2999.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	28.24.26.040

4	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, კურორტ ბახმაროში, გურიის ქუჩაზე მდებარე 1276.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	28.24.26.041
5	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, კურორტ ბახმაროში, გურიის ქუჩაზე მდებარე 1876.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1 (45.00კვ.მ.) და №2 (45.00 კვ.მ.) შენობა-ნაგებობების	28.24.26.042
6	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, კურორტ ბახმაროში, გურიის ქუჩაზე მდებარე 16285.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	28.24.21.597
7	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, კურორტ ბახმაროში, გურიის ქუჩაზე მდებარე 3723.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	28.24.26.190
8	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, კურორტ ბახმაროში, გურიის ქუჩაზე მდებარე 99.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	28.24.26.191

9	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, კურორტ ბახმაროში, გურიის ქუჩაზე მდებარე 502.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	28.24.21.200